საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 6924017001**
თარიღი:**17/01/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გრიგალათში მდებარე 36.05.31.1022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 43 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 36.08.32.351 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 26 სექტემბრის **N 5/52317** მომართვის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გრიგალათში მდებარე 36.05.31.1022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 43 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 36.08.32.351 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი